ნინო აბაკელია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ერთი მივიწყებული სიმბოლოს ქრისტიანული ინტერპრეტაციისათვის

(კურდღელი, როგორც იეროფანია)

კურდღლის სიმბოლიკა, რომელსაც მას რელიგიური დატვირთვა აძლევს, არც თუ ისე გამჭვირვალეა, რამდენადაც მასში უამრავი თემა და მოტივი ერთიანდება და იყრის თავს. შესაბამისად, კურდღლის, როგორც სიმბოლოს, მნიშვნელობათა სიმრავლე განპირობებულია იმ რელიგიური სისტემებით, რომელშიც ის შედის. ამიტომაა, რომ კურდღელი მითოპოეტური ცნობიერებისათვის ხან სიმფრთხალის, გაუბედაობის, მორცხვობის სიმბოლოა, ხან კი პირიქით, გამბედაობისა და გამარჯვების სიმბოლო (შდრ. ტიბეტურ ჰოროსკოპში კურდღლის ანუ გამარჯვების თვე წლის გარდატეხის თვეა, როდესაც ვარსკვლავი გიალის (ევროპულ ტრადიციაში – ანთარესის) ამოსვლა იწყება).

განსაკუთრებულ მიმართებას ქმნის კომპლექსი: „კურდღელი – ქალი – ნაყოფიერება – მთვარე".

მთელ რიგ აღმოსავლურ ტრადიციაში კურდღელი, როგორც გაუბედავი ცხოველი, ქალურობასთან ასოცირდება, რომელშიც რწმენების მიხედვით, ქალწულის სამშვინველი სახლდება.

ხაკასების (აბაკანელი და მინუსინელი თათრების) რწმენა-წარმოდგენებში მოხუცი შინაბერების სამშვინვლები კურდღლებად იქცევიან.

ახლად მოყვანილი პატარძლები კურდღელთან უმძრახობის წესებს იცავენ და ქარაგმულად მიმართავენ მას.[1]

ქალთან და ქალურობასთან დაკავშირებული კურდღელი, ხშირად ნაყოფიერებასთან, ტრფიალთან და ვიტალურობასთან ასოცირდება. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ძველ საბერძნეთში სიყვარულის ქალღვთაება აფროდიტე, რომლის ატრიბუტსაც კურდღელი წარმოადგენს.

გერმანულ ტრადიციაში აღდგომის გერმანული სახელწოდება Ostern, ზოგიერთი განმარტების მიხედვით, ქალღვთაება ეოსტრას/ოსტარას სახელს უკავშირდება. თავის მხრივ, ეს სახელი სირიელი ასტარტას გერმანულ ნაირსახეობად ითვლება. ორივე ქალღვთაების, როგორც კვერცხისმდებელი კურდღლის მფლობელი ეოსტრას, ისე ასტარტას ატრიბუტებს კურდღელი და კვერცხები წარმოადგენს.[2]

ფართოდ გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, კურდღელი ფაქტობრივად მთვარეა. მაგ., ჩინური მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, იგი მთვარეზე ცხოვრობს და ვერცხლის როდინში უკვდავების ფხვნილს ნაყავს.[3]

ინდურ ტრადიციაში მითიური კურდღელი და მთვარე მუდამ ერთმანეთთან არიან იდენტიფიცირებულნი (საინტერესოა, რომ სანსკრიტულში სიტყვა **çaças** ნიშნავს მოხტუნავეს, კურდღელს, ლაქებს მთვარეზე, რომელიც კურდღლის გამოსახულებას გულისხმობს).

Pancatantram-ის მესამე წიგნის პირველ ისტორიაში კურდღლები ცხოვრობენ მთვარის ტბის ნაპირას. მათი მეფის (გარდაცვლილთა მეფის, სიკვდილის ღვთაების) – Vigayadattas – სასახლეს ლუნარული დისკო წარმოადგენს. როდესაც კურდღელი კურდღელთა დამხოცველ სპილოთა მეფეს ელაპარაკება, იგი მთვარის სახელით ლაპარაკობს. რამდენადაც ეს ისტორია, კურდღლის, როგორც სიმბოლოს ერთ-ერთ ასპექტს ხსნის, მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. როგორც ზემოთ ხსენებული ისტორიიდან ვგებულობთ, კურდღელი არწმუნებს სპილოს, რომ მთვარე სპილოებზე არის განრისხებული, რადგან მათ ყეხით გასრისეს კურდღლები. მაშინ სპილო ითხოვს მთვარესთან შეხვედრას. კურდღელი გაუძღვება მას მთვარის ტბისაკენ, სადაც იგი წყალში აჩვენებს მთვარეს. სპილო, რომელსაც სურს მთვარესთან მიახლოვება და პატიების თხოვნა, ხორთუმს დაარტყამს წყალს. წყალი აღელდება, მთვარის გამოსახულება აირევა და ათასჯერ გამრავლდება. კურდღელი არწმუნებს სპილოს, რომ მთვარე კიდევ უფრო განრისხდა, რადგან მან წყლის სიმშვიდე დაარღვია. სპილოთა მეფე ბოდიშს იხდის და თავის ქვეშევრდომებთან ერთად განშორდება ამ ადგილებს...[4]

ინდური (და არა მარტო ინდური) რწმენა-წარმოდგენებით, მთვარე მართავს ღამეს (და ზამთარს), მზე – დღეს (და ზაფხულს). მთვარე ცივია, მზე – ცხელი. საღამო ხანს სოლარული სპილო, ლომი, ან ხარი მიდიან ნოქტიურნული მთვარის წყალთან, ტბასთან; კურდღელი აფრთხილებს სპილოს, რომ იმ შემთხვევაში თუ ის არ

წავა და განაგრძობს კურდღლების მოსრვას ტბის სანაპიროზე, მთვარე აკრიფავს თავის გრილ სხივებს და მაშინ სპილოები დაიხოცებიან წყურვილისა და აუტანელი სიცხისაგან.

Pancatantram–ის მეორე ისტორიაში მახვილი კურდღლის საზრიანობაზე კეთდება და მასში მოთხრობილია, თუ როგორ გადააგდებინებს თავს წყალში ან ჭაში კურდღელი მშიერ ლომს, რომელიც მის შეჭმას ლამობდა (მრავალი ამგვარი მაგალითის მოტანა შეიძლება სხვა ცხოველებზეც რიგვედადან და არა მარტო რიგვედადან). კურდღელი აქ თავს ინენს, როგორც ლომის საყოველთაო მტერი (შდრ. Ramay.XXIII)

ერთ ბუდისტურ ლეგენდაში ინდრა კურდღელს მთვარედ აქცევს, რადგან მან ადვილად დასთმო თავისი ხორცი შესაჭმელად, როდესაც მასთან პილიგრიმად გადაცმული ინდრა მივიდა პურის სათხოვნელად. კურდღელმა, რომელსაც მისთვის შესათავაზებელი არაფერი გააჩნდა, ცეცხლს მისცა თავი, ინდრას შიმშილის დასაკმაყოფილებლად[5].

კურდღელი ამ შემთხვევაში ნებაყოფლობითი მსხვერპლის სიმბოლოს განასახიერებს. ხალხური დაკვირვებების მიხედვით, რეალურ ცხოვრებაში კურდღელი ხანძრის დროს არაადექვატურად იქცევა: იმის მაგივრად რომ გაიქცეს, იგი ბუჩქებში იმალება მანამდე, სანამ ხანძრის ალი არ მოეხვევა ყოველი მხრიდან. ამის შემდეგ კი გაქცევა უკვე გვიანაა და იგი ცეცხლის ალში იწვის. კურდღლის ამგვარ საქციელს ნებაყოფლობითი მსხვერპლის მის ტრადიციულ როლს უკავშირებენ[6].

ხალხურ ცნობიერებაში კურდღელი, ხშირად კატასთან ასოცირდება (შდრ. კატის ან კურდღლის წელი ცხოველთა ხატებებით კოდიფიცირებულ 12 წლიან ციკლს აღმოსავლურ ჰოროსკოპში).

უკრაინულ ტრადიციაში კურდღელი ეშმაკის ქმნილებად ითვლებოდა (ალბათ მისი დაცქვეტილი ყურების რქებთან მიმსგავსების გამო), რომელიც მას "მეწინავედ" იმსახურებდა. რწმენის მიხედვით, თუკი იგი ვინმეს გადაურბენს, იმას უბედურება დაატყდება თავს. კატაზე გადატანილი ეს რწმენა დღემდეა შემორჩენილი[7].

ზოგი ხალხის მითოლოგიაში იგი ტრიქსტერია, კულტურული გმირია (ან უფრო ზუსტად, მის ერთ-ერთ ტერიომორფულ ფორმას წარმოადგენს – ნ.ა.). ამ ასპექტში იგი ხასიათდება, როგორც სწრაფი, ლაღი, თამამი, მოხერხებული ხუმარა, რომელიც თავისზე დიდ არსებას ატყუებს[8].

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება და მასთან დაკავშირებული თემა (განსაკუთრებით კი მისი წილხვედრობა მთვარესთან) მას კოსმიურ წრებრუნვასთან აკავშირებს და მისი კოსმოლოგიური სიმბოლიზმი უდავო ხდება. იგი თავის

1. კოპტური მოხატული თეფში. VII ს.

თავში აერთიანებს ცხოვრების, ნაყოფიერების, ქალების და ა.შ. ეპიფანიებს.

კურდღელი, როგორც სიმბოლო, თავის თავში კიდევ ერთ საიდუმლოებასა და პარადოქსს შეიცავს, კერძოდ, ძველი ავტორები მას ორსქესიანობას მიაწერენ. მაგ., ბიზანტიურ კრებულში, რომელიც კასიანე ბასის (VI ს) კალამს ეკუთვნის შემდეგნაირი ამონაწერია კურდღლებზე: „ამბობენ, რომ ერთი და იგივე კურდღელი ზოგჯერ მამრია და ზოგჯერ კი თავის ბუნებას იცვლის და მდედრი ხდება; და რომ იგი ანაყოფიერებს როგორც მამრი და შობს როგორც მდედრი (Геопоника XIX.4). მსჯელობა კურდღლების არაჩვეულებრივ სექსუალურ აქტივობაზე, ისევე როგორც მათ ორსქესიანობაზე ანტიკურ ტრადიციაშიც გვხვდება. აი, რას წერდა ტიმოთე გაზელი: „კურდღელი – მდედრი. მოგების დროს მას საშოში მეორე ჩანასახი ჰყავს, ხელახლა მაკდება და, უფრო მეტიც, განაგრძობს შეწყვილებას. კურდღელი რიგ-რიგობით ხან მდედრობით, ხან მამრობით სქესს იღებს (ტიმოთე გაზელი 18. 1-3). (შდრ. ჰეროდოტეს ცნობას, III. 108 და არისტოტელეს „ცხოველთა ისტორიას", VI, 33. 181).[9]

როგორც ა. იურჩენკო აღნიშნავს[10], ადრექრისტიანული ხანის ზოგიერთი ავტორის თხზულებაში კურდღლის ეს თვისება უარყოფით მორალურ შეფასებას იღებს. მაგ., კლიმენტი ალექსანდრიელი (Paedagogus, II-X) კურდღელზე, როგორც ბიწიერების სიმბოლოზე წერს.

ეროტიკულ საშუალებათა სიუხვე, ორივე სქესის აქტიურად ფლობა, სიმბოლური ერთიანობა უშუალოდ უკავშირდება კულტურული ანთროპოლოგიის უძველეს თემას – coincidencia oppositorium-სა და მთლიანობის საიდუმლოს; იგი მისი კოსმოგონიური სიმბოლოს ასპექტის მაჩვენებელია.

2. ოშკის რელიეფი კურდღლების გამოსახულებით. X ს.

ზოგადად სიმბოლოებში სხვადასხვა დონის ეპიფანიების ამგვარი გაერთიანება, როგორც ეს მ. ელიადემ შეისწავლა, არ ნიშნავს აღრევას, შერევას ან უწესრიგობას. სიმბოლიკა უშვებს გადასვლას, წრებრუნვას სხვადასხვა დონეზე. იგი ამ დონეებისა და სფეროების ინტეგრაციას ახდენს და არა ერთმანეთში აღრევას[11]. ქართულ ტრადიციაში იგი, როგორც ზოომორფული (დეკორატიული) მოტივი V საუკუნიდან მოყოლებული XI საუკუნის ჩათვლით გვხვდება ქრისტიანულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე (ბოლნისის სიონი, ატენის სიონი, ოშკი, ზეგანი, იშხანი, გომარეთი)[12] ასევე, მინიატურებსა და ტორევტიკაში[13]. აღსანიშნავია, რომ ადრინდელ ეკლესიებში კურდღელი ეკლესიის შიდა სივრცის მორთულობაში ფიგურირებს, ხოლო მოგვიანებით ის ტაძრების ექსტერიერზე ინაცვლებს (ილ. 2, 3).

როგორც ვ. ჯობაძე აღნიშნავს, ოშკის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის ფასადზე გამოსახული ერთმანეთის მიმართ მოხტუნავე კურდღლების შესახებ, ამ სიმბოლოში გარკვეული გზავნილი უნდა ყოფილიყო, შესაძლოა, კოსმიური ბუნებისაც, რომელიც დღეისათვის უცნობია[14]. იგივე ითქმის კურდღლის სხვა გამოსახულებებზე. ამ სიმბოლოს მნიშვნელობის ამოსაცნობად, შესაძლოა, კოპტური მასალა გამოგვადგეს.



3. ოშკის რელიეფური გამოსახულებები. სქემა. X ს.

კურდღლის მოტივი, წინაისლამურ (და, ასევე, ისლამურ) ეგვიპტეში მრავალნაირი ფორმით გვხვდება და საკმაოდ გავრცელებული ჩანს (კურდღელი ფოთლით ან ყვავილით პირში, კურდღელი და ყურძნის მტევანი და სხვ.).

ჩვენთვის საინტერესო ზოომორფულ მოტივს ვპოულობთ VII საუკუნის I ნახევრის ადრექრისტიანულ წითელი თიხის კოპტურ მოხატულ თეფშზე (ბერლინი, სკულპტურების გალერეა, 6637, დიამეტრი: 48,5 სმ.) (ილ. 1).

წრიული ფორმის ამ დიდი თეფშის ვარაყი უბრალოდაა შემკული რადიალური სხივებით. თეფშის ფსკერის შუაგულში გამოსახულია ლოტოსის ყვავილი ხვიარა მცენარეებით, კურდღელი, ყურძნის მტევანი, თევზი და მარგალიტის ასხმები. აღნიშნული ლანგარი ზოგიერთ მეცნიერში[15] სპონტანურად იწვევს ძველეგვიპტური ფაიანსის სასმისი ფიალების ასოციაციას, რომლებიც მნიშვნელობის მატარებელი წყალმცენარეებითა და თევზებითაა დეკორირებული. თუ რა სიმბოლური ინტერპრეტაცია ეძლეოდათ ამ დეკორატიულ ელემენტებს დროთა მონაცვლეობაში, უცნობია. ითვლება, რომ სულ სხვაგვარად იყო საქმე სიმბოლოების მოყვარულ კოპტებთან. თეფშზე გამოხატული სიმბოლოების მნიშვნელობა ე. ბრუნერ-თრაუთისა და ჰ. ბრუნერის აზრით, შემდეგნაირია: ჰერალდიკურად სტილიზებული ლოტოსი აღდგომაა, თევზი – ქრისტე, და ასევე, ევქარისტია (თევზის გამრავლება და საკვები საიდუმლო სერობაზე). მათივე აღნიშვნით, კურდღელი კოპტებთან აღდგომის სიმბოლოა (და ამ აზრით, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ის აგრძელებს ცხოვრებას გერმანულ სააღდგომო კურდღლებში; იგი, ასევე, ღვთისმოსავი ქრისტიანის სიმბოლოცაა (Physiologus, Kapitel 51), ყურძნის მტევანი – ქრისტესი და ასევე, ქრისტიანთა სიმბოლოსი. ლანგარზე გამოსახული ხვიარა ზემოთ დასახელებულ მკვლევართათვის ტიპურ წყალმცენარეს წარმოადგენს, რომლის თავდაპირველი შინაარსი და მნიშვნელობა უცნობია. მათივე აზრით, ასევე რთულია მარგალიტების ასხმის ახსნაც, რომლითაც ცხოველები დაბმული ან გაკოჭილი არიან (აქაც ქრისტიანულ კონოტაციასთან უნდა გვქონდეს საქმე – ნ. ა.). ისინი უფრო ადრე ძველეგვიპტური Leichkraut-დან (სარეველა მცენარე) უნდა განვითარებულიყვნენ, რომლის მნიშვნელობა, შესაძლოა, კოპტებმა შეცვ-

ვალეს. ანალოგიური ლანგრების განხილვა ზემოთ ხსენებულ მკვლევართათვის ეეჭველს ხდის, რომ საქმე ეხება ვეგეტაბილურ ნაწილებს, რამდენადაც მათ ერთ ბოლოზე ფოთოლი ან კვირტი აქვთ. შესაბამისად, ამ მარგალიტებს ისინი ვერ უკავშირებენ იმ მძივს, რომელიც სხვა შემთხვევაში ფარშევანგს უპყრია ნისკარტით. ხოლო ის ფაქტი, რომ კურდღელი პირში იდებს ყურძნის მტევანს, ხოლო თევზი – ასხმას, ძველეგვიპტური ნიმუშებიდან აღებულად მიაჩნიათ, რომლებზედაც, როგორც წესი, თევზები გამოიხატებოდნენ ბალახით პირში. ივარაუდება, რომ აღნიშნული ძვირფასი ლანგარი ევქარისტიულ მსახურებაში გამოიყენებოდა[16].

აღნიშნული იკონოგრაფიული შეხამებები შემთხვევითი არ არის და გარკვეული რელიგიური დატვირთვის მატარებელია. მაინც რას უნდა ნიშნავდეს ამგვარი კომპლექსები?

თავისთავად, ძველეგვიპტური და ადრექრისტიანული ნიმუშების ერთმანეთთან შედარება მათი რელიგიური მნიშვნელობის დასადგენად დიდად ვერ გამოდგება, რადგან ისინი განსხვავებულ გზავნილებს წარმოადგენენ. ამასთანავე ეს თვალსაჩინო ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ ხდება ძველ ფორმაში ახალი შინაარსის „ჩადება", ან როგორ ხდება მორალური სწავლების სფეროში გადაადგილება. კურდღელი პირში ყურძნის მტევნით, როგორც აღინიშნა, მართლმორწმუნის სიმბოლოა და თავისთავად მიგვანიშნებს ფაქტზე, რომ იგი გემოს უსინჯავს მას. გემოს გასინჯვა კი სიმბოლურ ენაზე დაკავშირებულია გარკვევასთან, მორალურ ღირებულებათა განსხვავების შეცნობასთან. ბიბლიური მნიშვნელობით[17] გემო სიბრძნის სხვადასხვა ფორმას გულისხმობს, რომელთაგან უმაღლესია კეთილისა და ბოროტის შეცნობა, არა მარტო მორალურ არამედ რელიგიური განცდის დონეზე, რომელიც თაფლივით ტკბილი გემოსია (შდრ. ეზეკ. 3.3). იგი სიბრძნის გაგებას, მასთან ზიარებას გულისხმობს, რომლის უმაღლეს ფორმასაც სიკეთისა და ბოროტების გარკვევა და მასთან ზიარება წარმოადგენს. ახალ აღთქმაში ქრისტიანის ცხოვრება გაერთიანებაა აღმდგარ ქრისტესთან, ხოლო მონათვლა ხსნის ციერ მადლთან შეერთების ტკბილ განცდას გულისხმობს.

ამრიგად, კომპლექსი „კურდღელი ყურძნით პირში" (ან „კურდღელი ტკვირავს ყურძენს" (ილ. 4)) აღნიშნულ კონტექსტში სრულიად კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელია. იგი მართლმორწმუნის სიმბოლოა, რომელიც გაერთიანებულია, შეერთებულია აღმდგარ ქრისტესთან და ეზიარება უმაღლეს სიბრძნეს.

რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ ხვიარა მცენარეს, ჩვენი აზრით, სიმბოლოს ლოგიკიდან გამომდინარე, თავისი ყველგან შეღწევადი და ცვლადი ძალით შეიძლება საფუარს შევადაროთ, რომელიც მისი თვისებების გამო, იგავში დარდება ცათა სასუფეველს, „რომელიც აიღო დედაკაცმა და მოზილა მით სამი საწყაო ფქვილი, ვიდრე მთელი ცომი არ აფუვდა". (მათ. 13 : 33, ლუკა, 13 : 20 და შმდ.). ხოლო ზემოთ ხსენებული მარგალიტების ასხმა, (რომლის ასეთი ინტერპრეტაცია ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია, თუკი გავითვალისწინებთ კონტექსტს, რომელშიც ის გვხვდება), ისევე როგორც თევზი, ცათა სასუფეველთან დაკავშირებული სიმბოლოა (იხ. მათ. 13: 31- 49). გარდა ამისა, მარგალიტების თითოეული აცმა შედგება 12 მძივისაგან, რაც თავის მხრივ მომავალი იერუსალიმის 12 ფუძის ქვას შეიძლება დაუკავშირდეს (ახალი იერუსალიმის „12 ბჭე – 12 მარგალიტი, თითოეული ბჭე თითო მარგალიტისა". გამოცხ. 21:21), რაც, თავის მხრივ, იგივდება სამყაროს არსთან, რომელიც, როგორც ითვლება, აღდგომის სხეულის ნანასახობრივი ძალებიდან აღსდგება.

4. „კურდღელი ტკვირავს ყურძნის მტევანს". კოპტური ქსოვილი. VII ს.

ამგვარად, ლოტოსი (თავდაპირველად ნათლის ყვავილი „ Fleur-de-Lis", იგივე სიცოცხლის მცენარე, სამყაროს სიმბოლო და სხვ.)[18], ხვიარა მცენარე (სარეველა), კურდღელი, თევზი ერთმანეთთან მარგალიტების ასხმით დაკავშირებულნი, გამოსახულნი რიტუალურ თეფშზე, რომელიც ევქარისტიულ დღესასწაულებში გამოიყენებოდა, მიგვანიშნებენ სამყაროს ცენტრზე, ცათა სასუფეველზე, სადაც სიცოცხლისა და უკვდავების წყაროა. მისი ეს კონკრეტული მნიშვნელობა წყაროს დაწაფებული ირმის სიმბოლიკის ასო-

ციაციას იწვევს, რომელიც კარგადაა ცნობილი ქრისტიანული იკონოგრაფიიდან.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ კურდღელთან დევნის მოტივი არის დაკავშირებული. ამგვარი მოტივი ასახულია როგორც წინარექრისტიანულ, ასევე ქრისტიანული ხანის რწმენა-წარმოდგენებსა და სხვადასხვა გამოსახულებებში (მათ შორის ბოლნისის სიონის რელიეფებზეც). მაგ.: კურდღელს ხშირად ძლიერი ცხოველი – დათვი, ლომი, სპილო და სხვა მხეცები მოსდევს (შდრ. ზემოთ მოტანილ ინდურ გადმოცემას). ამ კონტექსტში აღნიშნული ძლიერი ცხოველების წამყვან სიმბოლიკას მათი სოლარულობა წარმოადგენს, ხოლო კურდღლისას – ლუნარულობა. შესაბამისად, აქ, დევნა დროის სრბოლას (რიურაჟისა და ბინდის, დღისა და ღამის, წელიწადთა ცვლას და სხვ.) უნდა უკავშირდებოდეს. კურდღლის აღნიშნული სიმბოლიკა ლიტერატურაშიც აისახა. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ლუის კეროლის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“[19], საიდუმლოებით მოცული და გამოცანა-ქვეყნის სიმბოლოები – მარტის კურდღელი და შმაგი მექუდე დროსთან (ჯადოქრის სახით) წახუბებულნი და სადილის შემდგომ ჩაის სმის ერთსა და იმავე დროში არიან ჩაჭედილები. მათმა საათებმა შეწყვიტეს დროის ათვლა. ისინი სამუდამოდ სხედან ბაღში გაშლილ სუფრასთან და მათ მხოლოდ მასზე გადაადგილება შეუძლიათ (საათის ისრებივით?). ამავე ნაწარმოებში თეთრი კურდღელი დიდი ჯიბის საათით სხვა სამყაროში, სხვა დროში მოგზაურობის სიმბოლო გამხდარა.

მაგრამ დავუბრუნდეთ კურდღელს, როგორც მართლმორწმუნის სიმბოლოს, რომელთანაც დევნის საიდუმლოა დაკავშირებული. დევნა ქრისტიანულ სიმბოლიკაში წარმოადგენს ქრისტესა და მის მიმდევართა საბოლოო გამარჯვების ნიშანსა და პირობას. ამ თვალსაზრისით, მას ესქატოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება, რომელიც თითქოს სამსჯავროს მომასწავებელია (1. პეტრ. 4.7, შმდ. გამოცხ. 7. 13-17).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული სიმბოლიკა ის „ენაა“, რომელიც ზოგადად გასაგები უნდა ყოფილიყო ქრისტიანთათვის და გაუგებარი უცხოთათვის. აქ სიმბოლოები თვითონაა იეროფანიები, რომელიც ხსნის ისეთ საკრალურ ანუ კოსმოლოგიურ რეალობას, რომელიც სხვაგვარად ვერ იქნებოდა გამოვლენილი.

ამდენად, კურდღლის სიმბოლიკა კურდღლის მახასიათებელთა აზრობრივი განზოგადებებისა და თავისებურებების საფუძველზეა წარმოქმნილი. იგი "ხმარებაში" შემოდის საკუთარი არსისა და ნიშან-თვისებების გამო. ასეთი ნიშან-თვისებებია სიფხიზლე და მღვიძარება. აქედან გამომდინარე, მისი სიმბოლიკა არა ემპირიული, არამედ თეორიული წარმომავლობისა ჩანს.

რაც შეეხება ქართულ ტრადიციას, მას კურდღელთან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებული რწმენა-წარმოდგენა არ შემოუნახავს. მხოლოდ მისი აღწერითი ხასიათის სახელწოდება:[20] კურდღელი – ყურდღელი – ყურგძელი – ყურცქვიტა იმის მიმანიშნებელია, რომ ქართველები მისი სიცქვიტის, სიმარდის, სიფხიზლის თვისებებზე აკეთებდნენ მახვილს და მის სახელში ზემოთ აღნიშნული თვისებები იქნა რეზიუმირებული. კურდღლის ქრისტიანულ სიმბოლიკაში კი სწორედ მისი ეს თვისებაა წამყვანი, რამდენადაც მძინარება ქრისტიანული გაგებით სიკვდილის მდგომარეობაა, რომელთანაც ადამიანი ცოდვას მიჰყავს; გაღვიძება ნიშნავს მოქცევას და სიცოცხლეში დაბრუნებას. ახალ აღთქმაში მღვიძარება მზადყოფნაა ღვთის მეორედ მოსვლისათვის; მორწმუნემ უნდა „იფხიზლოს, ვინაიდან (მან) არც დღე იცის და არც საათი, როდის მოვა ძე კაცისა“ (მათ. 25: 13). მორწმუნე აღარ არის ღამის შვილი, მას უკვე „აღარ სძინავს“ (1 ეფ. 5, 6...), რადგან იგი აღარ არის ცოდვილი[21]. საინტერესო და აღსანიშნავია, ასევე, ლიტერატურული ალუზია ლ. კეროლის ზემოთ ხსენებული ნაწარმოებიდან, რომელშიც მარტის კურდღელი (ირაციონალურობის სიმბოლო ადამიანში) მექუდესთან ერთად (რაციონალობის სიმბოლო) თავს აყოფინებს მძინარას (ანუ ადამიანის ცნობიერებას) „ცხელი ჩაის ჩაიდანში“ და ცდილობს ხელოვნურად გაუმკლავდეს ადამიანის მარადიულ წინააღმდეგობას სიფხიზლისადმი და ცოტა ხნით მაინც გააღვიძოს ადამიანის სული[22].

ამგვარად, ზემოთქმული მოკლედ შემდეგნაირად ჯამდება: კურდღლის ნახევრადმივიწყებულ სიმბოლოში მრავალნაირი თემა და მოტივი არის ამალგამირებული. ანტიკური ავტორების ცნობებიდან გამომდინარე, მასთან დაკავშირებულია კულტურული ანთროპოლოგიის არქაული თემა – ანდროგინი, რომელიც მას კოსმოგონიურ სიმბოლოდ წარმოაჩენს.

აღნიშნული სიმბოლო წინაქრისტიანულ ხანაში ლუნარულ ხასიათს ინარჩუნებდა და მას მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო ნაყოფიერება. აღნიშნულ სიმბოლოში კოსმიური სიცოცხლის რამდენიმე დონე ერგება ერთმანეთს (კურდღელი – მთვარე – ქალი და ა.შ.), რაც თავის მხრივ, სიცოცხლის პერიოდულ განახლებას და, შესაბამისად, დროის წრებრუნვას გულისხმობს (შდრ. დროში ჩაჭედილი საათის ისრების მეტაფორას).

ადრექრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებში მისი სიმბოლიკა რადიკალურად იცვლება. ამჯერად იგი მიგვანიშნებს ახალ დროსა და ახალ ღირებულებებზე. მისი მთავარი და განმსაზ-

ღვრელი ნიშანი *მღვიძარება* ხდება. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ კურდღელს ღია თვალებით სძინავს. აქ კურდღელი, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში ლომი (შდრ. ფიზიოლოგში ნათქვამს, „როდესაც ლომს ძინავს, თვალნი მისნი ფხიზლობენ...“),[23] უშუალოდ უკავშირდება „ფხიზელ თვალს“ ანუ ქრისტე მაცხოვარს.

კურდღლისა და ლომის ამგვარი იდენტიფიკაცია, ჩვენი აზრით, გასაღებს უნდა იძლეოდეს ეგვიპტური ქალღვთაების უნუთის, ერთი შეხედვით, უცნაური და გაუგებარი გამოსახულების ახსნისათვის. უნუთი, XV ნომის მთავარი ღვთაება, რომლის ეპითეტს „ქალბატონი“ წარმოადგენდა, ნომის შტანდარტზე გამოისახებოდა კურდღლის სახით. იგი ძალიან ადრე გაიგივდა ღვთაება თოთთან, რის გამოც ნაკლებად ხსენებადი ღვთაება გახდა. ამის შემდეგ თანდათან ხდება მისი ნაკვთების ძუ ლომთან მიმსგავსება და მას გამოსახავდნენ ძუ ლომის თავითა და კურდღლის ყურებით. ლომის იკონოგრაფიის გამო, ხდება მისი დაკავშირება სხვადასხვა ლომ-ღვთაებასთან და აქედან გამომდინარე ურეუს-გველთან (მასალა უნუთზე მოგვაწოდა ეგვიპტოლოგმა მ. ხვედელიძემ)[24]. ზემოთ თქმულის შუქზე, კურდღლის ძუ ლომთან და ურეუს გველთან, (რომელიც თვითონ თვალია, ღვთაების მფარველი) დაკავშირება სრულიად ლოგიკური და გასაგებია ჩვენთვის, რამდენადაც მათ ერთი ნიშან-სიმბოლო – თვალი და მისგან გამომდინარე თვისებები აერთიანებთ.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, სიმბოლო და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კურდღლის სიმბოლო, კონტექსტის შესაბამისად ერთ კულტურულ (ჩვენს შემთხვევაში ქრისტიანულ) სივრცეშიც იცვლის მნიშვნელობას. იგი ხან „ფხიზელ თვალს“ და შესაბამისად ქრისტე მაცხოვარს უკავშირდება, ხან ზიარების იდეის გამომხატველია (შდრ. კომპლექსი „კურდღელი ტკვირავს ყურძნის მტევანს“ კომპლექსს – „ირემი ეწაფება წყაროს“. შდრ ატენის სიონი, რავენა, etc.), ხანაც – აღდგომისა. აქვე შემოდის ნებაყოფლობითი მსხვერპლის მოტივი და სხვ. აღნიშნული არაუბრალო ზოომორფული სიმბოლო, რომელიც გარკვეული ინტენსივობითა და მნიშვნელობათა სიმრავლით გვხვდება ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე, ზოგადქრისტიანული რელიგიის იდეების ადგილობრივ მხატვრულ გამოვლენას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც საქართველოში XI საუკუნის ჩათვლით შემოინახა.

შენიშვნები:

1. Шейнина Е.Я. Энциклопедия Символов. Заяц, М., 2002. გვ. 86.
2. Diether Lauenstein, Die Misterien von Eleusis, Urachhaus, Stuttgart, 1988.
3. Шейнина Е.Я. დასახ. ნაშრ., გვ. 86.
4. Angelo de Gubernatis, Zoological Mythology, vol.2. N.Y., 1978, 76-82.
5. Ibid., 76-85
6. Эдвин К. Крапп. Астрономия Легенды и предания о солнце, луне, звездах и планетах. М, 1999, 154-157
7. Шейнина Е.Я დასახ. ნაშრ., გვ. 86.
8. ტრიქსტერზე იხ., P.Radin, The Trickster. A Study in American Indian Mythology, L., 1956 ; C.Lévi- Strauss, Les mythologique, v.,1-4, P.,1964-71.
9. Ibid.
10. Юрченко А. Я. Александрийский физиолог, Санкт-Петербург, 2001.
11. M. Eliade., Traité D ' Histoire des Religions, P.,1948.
12. Аладашвили Н. Монументальная Скульптура Грузии, М., 1977. W.Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Shavsheti, Franz Steiner Verlag Stuttgart,1992. ი. გივიაშვილი, კურდღლის სიმბოლური მნიშვნელობა ზეგანის რელიეფზე. თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომათა კრებული. №4, 2002.
13. ი. გივიაშვილი. დასახ. ნაშრ.
14. W. Djobadze, დასახ. ნაშრ.
15. Emma Brunner-Traut, Hellmut Brunner, Johanna Zick-Nissen, Osiris, Kreuz und Halbmond. Die Drei Religionen Ägyptens, Verlag Philipp Von Zabern, Mainz am Rhein,p.,188.,1984.
16. Ibid.
17. Словарь Библейского Богословия, Брюссель, 1974.
18. ლოტოსს ძალუძს მატერიალური ეგზისტენციის მქონე ტალახის (ე.ი. მკვდარი მატერიის) სამოთხედ ტრანსფორმირება, როგორც თ. ჩეთვაინდი აღნიშნავს (იხ. A Dictionary of symbols, Paladin Grafton Books, L, 1982). მისი, ამ არაჩვეულებრივი თეთრი ფორმის ტალახში (ან ტალახისაგან)

თავდაპირველი ამოზრდა კვლავ აღმოცენების იდეას უკავშირდება, იქნება ეს ხელახალი დაბადება, აღდგომა თუ გაბრწყინება/გასხივოსნება.
19. იხ., Lewis Carroll, Alice's Adventures in Wonderland and through the Looking Glass, N.Y.,1960.
20. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ.I, თბ., 1991.
21. Словарь Библейского Богословия, Брюссель,1974.
22. Вольфганг Бауер, Ирмтрауд Дюмоц, Сергиус Головин, Энциклопедия символов, Крон Пресс, 1995.
23. Н. Марр. физиолог, Армяно-грузинский извод, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VI, СПБ, 1904.
24. H. Brugsh. Thesaurus Inscriptorium, Ägipticarum, Leipzig, 1883-91, გვ.807
Au. Mariette, Déndera, Paris, 1871, IV, გვ.81

Nino Abakelia
Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology
Georgian Academy of Sciences

ON THE CHRISTIAN INTERPRETATION OF ONE FORGOTTEN SYMBOL
(Hare as an Hierophany)

The article discusses a half forgotten symbol of hare in which different kinds of themes and motifs are amalgamated. It is assumed, that in prechristian times the mentioned symbol kept its lunar character and as such had a variety of meanings in which its fecundity was one of the most important. In this symbol various levels of cosmic life fit together (hare – moon – woman, etc.,) i.e. it manifests the "living reality" of life, that renews itself periodically. Hence it indicates to the time that ever returns.

In Early Christian beliefs it changes its meaning radically. Now it points to the new times and new values. Its main characteristics becomes vigilance and watchfulness. On the one side it is the metaphor of rightous man, which partakes of the eternal Spring of Life (comp. the complex "the hare eats the grape" with the complex "the deer partakes of the waters of the well", which to my mind express the same idea of Communion) and on the other side it is the symbol of Ressuraction. This complicated zoomorphic symbol found abundantly in Early Christian churches of northern Syria and historic Tao- Klarjety is treated and considered in this light.